გამოწვევები და შესაძლებლობები სამხრეთ კავკასიის რეგიონულ დიპლომატიაში

გივი ბარამიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
ელ-ფოსტა: Gbaramidze86@gmail.com
ORCID: https://orcid.org/0009-0008-3416-1255

აბსტრაქტი. საბჭოთა კავშირის დანგრევის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საკუთარი პოლიტიკის ფორმირება პირველ რიგში ცივ ომში გამარჯვებულმა მხარემ, აშშ-მა და შემდეგ, ევროპის კავშირმა დაიწყეს. ერთიანი პოლიტიკური სივრციდან პატარა სუბიექტების გამოსვლის მიუხედავად, არსად წასულა მოსკოვის ინტერესები. საბჭოთა იმპერიის დანგრევის შემდეგ, სამხრეთ კავკასიაში საკუთარი ინტერესების გატარების და მოქმედების საშუალება მიეცათ რეგიონის უშუალო მეზობელ დიდ ქვეყნებს, თურქეთსა და ირანს. ბოლო ათწლეულში მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკის ფორმირება დაიწყო მსოფლიოს დიდმა ეკონომიკამ, ჩინეთმა, რომლის ერთ-ერთი ხაზი სამხრეთ კავკასიაზე გადის. სამხრეთ კავკასიის რეგიონში ახალი გეოეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებას იწყებს ინდოეთი.

შედარებით მცირე რეგიონში საშუალო და დიდი ძალის მქონე ქვეყნების ინტერესების ამ მასშტაბით თავმოყრა, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის, თუმცა თანამშრომლობის ხელსაყრელ შესაძლებლობასაც აჩენს. პროცესებზე დაკვირვება ადასტურებს, რომ რეგიონში პატარა ქვეყნების თანამშრომლობა აუცილებელია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასიაში ერთგვარი გეოპოლიტიკური წესრიგი ჩამოყალიბდა, რაც გულისხმობდა პოლიტიკური ძალების სამოკავშირეო დაჯგუფებას რეგიონის პატარა და რეგიონის მეზობელ და არამეზობელ ქვეყნებს შორის. რეგიონის გეოპოლიტიკური ვერტიკალი ასე ჩამოყალიბდა: თურქეთი-აზერბაიჯანი; რუსეთი-სომხეთი-ირანი; პარტნიორული, თუმცა არასამოკავშირეო ურთიერთობები საქართველოს და დასავლეთის ქვეყნებს შორის. თანამედროვე პერიოდში ტრადიციული გეოპოლიტიკური ვერტიკალების ცვლილებების ნიშნები გამოიკვეთა, რაც შესაძლოა რეგიონის სუბიექტების მომავლისთვის გარდამტეხი ფაქტორი გახდეს. რეგიონული თანამშრომლობისა და ინტეგრაციის შედარებითი მაგალითების საფუძველზე, ნაშრომი ასახავს კონკრეტულ სფეროებს, სადაც საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს შეუძლიათ პრაგმატული თანამშრომლობის განვითარება, არსებული პოლიტიკური დაბრკოლებების მიუხედავად.

აღნიშნული თვალსაზრისით, ნაშრომში ყურადღება ფოკუსირებულია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებისთვის საჭირო მნიშვნელოვან სფეროებზე და მიმართულებებზე, სეგმენტური თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობაზე, რაც მყარ საფუძველს შეუქმნის სამხრეთ კავკასიის რეგიონულ უსაფრთხოებას და გეოპოლიტიკურ სტაბილურობას. ამ ფონზე შესაძლებელი ხდება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ახალი დღის წესრიგის ფორმირება.

საკვანძო სიტყვები: საქართველო; აზერბაიჯანი; სომხეთი; სამხრეთ კავკასია; გეოპოლიტიკა.

***

შესავალი. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, სამხრეთ კავკასიის რეგიონში ბევრი მიმართულებით იყო არასტაბილურობა, რასაც განსაზღვრავდა როგორც შიდა, ასევე საგარეო ფაქტორების ერთობლიობა. პრობლემების მიუხედავად, სამხრეთ კავკასიის რეგიონს, წარსულის მსგავსად, ისევ გაუჩნდა გეოპოლიტიკური დატვირთვა. რეგიონი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით,

გეოგრაფიული მდებარეობა სამხრეთ კავკასიას გზაჯვარედინის დატვირთვას სძენს და ასევე, რეგიონზე გადის გამყოფი ხაზი ქრისტიანულ და ისლამურ ცივილიზაციას შორის.

სამხრეთ კავკასია, რომელიც მოიცავს საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს, განსაკუთრებული გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობის რეგიონია. ევროპის, აზიისა და ახლო აღმოსავლეთის გზაჯვარედინზე მდებარეობით, რეგიონი ძირითად ბაზრებსა და ცივილიზაციებს შორის სტრატეგიული ხიდის ფუნქციას ასრულებს. თუმცა, თავისი პოტენციალის მიუხედავად, სამხრეთ კავკასია ევრაზიაში ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად ინტეგრირებულ რეგიონად რჩება, რაც რეგიონის ქვეყნებისთვის არაერთი პრობლემის შემქმნელია. ისტორიული უთანხმოებები, გადაუჭრელი კონფლიქტები და განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ორიენტაციები, ხელს უშლიდა ერთიანი რეგიონული ჩარჩოს შექმნას. რეგიონულ ინტეგრაციას შეუძლია ხელი შეუწყოს სტაბილურობას, გააძლიეროს ეკონომიკური განვითარება და რეგიონის მდგრადობა გარე შოკების მიმართ.

კვლევის მიზანია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებისთვის ახალი ჩარჩოს შექმნის მცდელობა, რაც რეგიონის ქვეყნების ხშირად ცალკეულ და ფრაგმენტირებულ პოლიტიკას ახალ ფორმას მისცემს და უფრო მეტად ინტეგრაციული სახით წარმოადგენს.

სტრატეგიული მნიშვნელობის მიუხედავად, რეგიონი ისტორიულად ზარალდებოდა კონფლიქტებით, იყო ფრაგმენტული პოლიტიკური ორიენტაციები და გარე მეტოქეობის გავლენა. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებამ ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ, გარემოსდაცვით, საგანმანათლებლო, ჯანდაცვისა და ტექნოლოგიურ სფეროებში, შეიძლება, რეგიონი უფრო მდგრად, ურთიერთდაკავშირებულ და აყვავებულ ზონად აქციოს. მაგალითად, ევროკავშირისა და „ასეანის“ (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია) ქვეყნებისგან განსხვავებით, სამხრეთ კავკასიას არ გააჩნია შიდა დონის ინტეგრაციული ინსტრუმენტი, რის გამოც რეგიონულ დინამიკას ხშირად გარე აქტორები აყალიბებენ.

მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში მიმდინარე პროცესებზე და წარსულ გამოცდილებაზე დაკვირვება, აჩვენებს, რომ ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებას უფრო მეტად დადებითი შედეგები შეიძლება ჰქონდეს ქვეყნებს შორის ურთიერთობების დინამიკაში, ვიდრე უარყოფითი. ცალკეული სეგმენტებით თანამშრომლობის გაღრმავება მნიშვნელოვანი იქნება რეგიონული მშვიდობისა და გრძელვადიანი სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

მეთოდები. კვლევა ეფუძნება ისტორიოგრაფიაში და საერთაშორისო ურთიერთობების დარგში კარგად ნაცნობ მეთოდებს. კვლევაში გამოყენებულია კრიტიკული ანალიზის მეთოდი, ხარისხობრივი კვლევის მეთოდი, რაც სიღრმისეულ ანალიზს გულისხმობს და ასევე შედარებითი კვლევის მეთოდი, რაც მოიცავს ინტერესების კონტექსტუალურ აღწერას და ინტერესებთან დაკავშირებული საფრთხეების კლასიფიკაციას.

რაც შეეხება ხარისხობრივი კვლევის მეთოდს და მასთან დაკავშირებულ სიღრმისეულ ანალიზს, ეს გულისხმობს თვისებრივი მონაცემების, როგორიცაა: დაკვირვებების ან ტექსტური შინაარსის საფუძვლიან და დეტალურ გამოკვლევას უფრო ღრმა მნიშვნელობების და შეხედულებების გამოსავლენად. მიზანი არ არის მხოლოდ მონაცემების შეჯამება, არამედ ძირითადი კონტექსტის, თემებისა და დინამიკის ინტერპრეტაცია და გაგება. სიღრმისეული ანალიზი ხაზს უსვამს მონაცემების გაგებას იმ კონტექსტში, რომელშიც ის შეიქმნა. ეს ასევე გულისხმობს ურთიერთობების იდენტიფიცირებას, რათა ხაზი გაუსვას მონაწილეთა გამოცდილებას შორის საერთოს და განსხვავებებს. პროცესი მოიცავს მონაცემთა ანალიზისა და ინტერპრეტაციის უწყვეტ პროცესს.

შედარებითი კვლევის მეთოდი გამოიყენება ორ ან მეტ ერთეულს შორის მსგავსებისა და განსხვავებების შესადარებლად და გასაანალიზებლად, რაც კარგ საფუძველს ქმნის საკვლევი თემის სრული სურათით დასანახად. შედარებითი კვლევის მეთოდოლოგიის ძირითადი მახასიათებლებიდან ერთ-ერთია ფოკუსირება შედარებაზე. ის ცდილობს გამოავლინოს მსგავსებები და გან-

სხვავებები შესასწავლ შემთხვევებს შორის. რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, როდესაც დიდი მოთამაშეები და რეგიონის მეზობელი დიდი ქვეყნები საკუთარ ინტერესებს ავლენენ და მათი განხორციელებისთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა სახის რესურსებს იყენებენ, სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს გამოიკვლიონ, თუ რა მიმართულებებით შეუძლიათ თანამშრომლობის გაღრმავება ერთმანეთთან, გამოავლინონ მათ ინტერესებს შორის მსგავსებები და განსხვავებები, შეძლებისდაგვარად გამოკვეთონ სხვადასხვა ინტერესების გამომწვევი მიზეზები და კონტექსტუალური ფაქტორები.

რადგანაც შედარებითი კვლევის მეთოდის მნიშვნელოვანი მახასიათებელია საერთაშორისო პერსპექტივა და იკვლევს შემთხვევებს სხვადასხვა რეგიონში და ქვეყანაში, აღნიშნული მეთოდის გამოყენება მართებული გამოდგა კვლევისთვის. ამ გზით ყურადღება გამახვილდა სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებზე, მათი ინტერესების შედარებაზე და საერთაშორისო მაგალითების შესწავლაზე.

მსჯელობა. 2022 წელს უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, პოლიტიკური უთანხმოების გამო, საქართველოს ურთიერთობები დასავლეთის ქვეყნებთან მნიშვნელოვნად გართულდა. ყარაბაღის ომის შემდეგ, სომხეთს და მის ტრადიციულ მოკავშირე რუსეთს შორის ურთიერთობების ახლებურ ფორმირებას ერევანი ცდილობს, რასაც სომხეთში აშშ-ის და ევროპის ქვეყნების გავლენის გაზრდა ახლავს თან. ყარაბაღის ომის შემდეგ დარჩენილი პრობლემური საკითხების გადაწყვეტის დროს, სომხეთის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის გარანტად ირანი გამოდის. სომხეთში ახალ განზომილებას იძენს აშშ-ის ინტერესები, რაც ძირითადად ეკონომიკურ ჩართულობას ითვალისწინებს. აზერბაიჯანის და თურქეთის სამოკავშირეო ურთიერთობების გაძლიერება გრძელდება და ამ ვერტიკალს რეგიონში ახალი სუბიექტი ემატება პაკისტანის სახით. ტრადიციული გეოპოლიტიკური ვერტიკალების შესაძლო დარღვევამ, დიდი ცვლილებების ფონზე, შესაძლოა, რეგიონზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს. ამ ფონზე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამხრეთ კავკასიაში თანამშრომლობის გაღრმავება, რამაც პირველ რიგში რეგიონული უსაფრთხოება, გრძელვადიან პერსპექტივაში კი, კეთილდღეობის გაზრდა უნდა გამოიწვიოს.

რეგიონალიზმის კონცეფციის თანახმად, „რეგიონული შეთანხმებები რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მოქმედებს“ (Kurian, 2020: 397), შესაბამისად სამხრეთ კავკასიაში თანამშრომლობის გაძლიერების უმთავრესი ამოცანა მშვიდობის გრძელვადიანი უზრუნველყოფა უნდა იყოს. რეგიონალიზმის თანახმად, ინტეგრაცია შეიძლება წარმოიშვას როგორც ზემოდან ქვემოთ პოლიტიკური შეთანხმებებიდან, მაგალითად ევროკავშირის მსგავსად, ასევე ქვემოდან ზემოთ ფუნქციური თანამშრომლობიდან შეზღუდულ სექტორებში, როგორც ეს „ასეანის“ შემთხვევაში ხდება. ასეთი თანამშრომლობის კარგ მაგალითს ასევე წარმოადგენს „ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება“, რომელიც აშშ-ს, მექსიკას და კანადას შორის მოქმედებს. სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, სექტორული თანამშრომლობა და ფოკუსირება საერთო ინტერესებზე, ყველაზე რეალისტურ გზას შეიძლება წარმოადგენდეს.

ეს მიდგომა თანხვედრაშია ნეოფუნქციონალიზმთან, რომლის თანახმად, ერთ სექტორში (მაგ., ვაჭრობა) თანამშრომლობამ შეიძლება გამოიწვიოს გადამდები ეფექტები, რაც დროთა განმავლობაში სხვა სფეროებში უფრო ღრმა ინტეგრაციას გამოიწვევს. ნეოფუნქციონალიზმის თეორიის ფუძემდებელი, ერნსტ ჰაასი განმარტავს, რომ „სექტორული ინტეგრაცია წარმოშობს საკუთარ იმპულსს მთელი ეკონომიკის გაფართოებისკენ, მაშინაც კი, თუ არ არსებობს კონკრეტული ჯგუფური მოთხოვნები და მათი თანმხლები იდეოლოგიები“ (Haas, 1958: 297). ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერება სრულიად შესაძლებელია სამხრეთ კავკასიის მსგავს რეგიონში.

გამოწვევებთან ერთად, სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებს თანამშრომლობის კარგი პერსპექტივები აქვთ, რაც ყარაბაღის ომის შედეგად წარმოქმნილ ახალ გეოპოლიტიკურ წესრიგს უკავშირდება. სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობების დარეგულირება მყარ საფუძველს შექმნის სამი ქვეყნის მრავალვექტორული თანამშრომლობისთვის. გეოპოლიტიკური ვერტიკალების ფორმირებასთან ერთად, ქვეყნებს შორის სექტორული და პრაგმატული ინტეგრაციის სტრატეგია შეიძლება შეეხოს ისეთ სფეროებს, როგორიცაა ეკონომიკა, ტრანსპორტი და ვაჭრობა. სექტორული თვალსაზრისით თანამშრომლობის გაძლიერებისთვის კარგი შესაძლებლობებია ეკონომიკის მიმართულებაში, რადგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რეგიონის ქვეყნებს შორის ჩამოყალიბებული ეკონომიკური გაცვლის რეჟიმი დატვირთული არ არის და სამომავლოდ სამივე ქვეყანას კარგ საფუძველს უქმნის სექტორული თანამშრომლობის გაძლიერებისთვის. საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის მთავარი სავაჭრო პარტნიორები რეგიონს მიღმა არიან, რაც შეიძლება ბუნებრივიც იყოს, რადგან რეგიონის პატარა ქვეყნების ეკონომიკები ადგილობრივ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ, თუმცა არსებული შესაძლებლობების მეტად გამოყენება, ამ დისბალანსს შეცვლის.

საბაჟო პროცედურების გამარტივების შემდეგ, ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერება შესაძლებელია პრეფერენციული სავაჭრო ზონების შექმნით და ინფრასტრუქტურის განვითარებით. „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის“ „ვაჭრობის ხელშეწყობის შესახებ შეთანხმების“ მოდელის მიხედვით რეგიონული ვაჭრობის ხელშეწყობის ჩარჩოს შექმნა შეამცირებს ტრანზაქციის ხარჯებს და ხელს შეუწყობს რეგიონის შიგნით ვაჭრობას. ევროკავშირთან საქართველოს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA) შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც პლატფორმა რეგიონში სტანდარტების ჰარმონიზაციისთვის, რაც ეკონომიკურ აქტივობას მეტ იმპულსს მისცემს. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაღრმავებისთვის მნიშვნელოვანი სექტორი შეიძლება იყოს ენერგეტიკა. კოორდინირებული ენერგეტიკული სტრატეგია, მათ შორის ელექტროენერგიის გაცვლა და განახლებადი ენერგიის ერთობლივი პროექტები, შეამცირებს დამოკიდებულებას გარე მომწოდებლებზე და რეგიონის ქვეყნების უფრო მეტად დაკავშირებას უზრუნველყოფს. რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერების მნიშვნელობაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია მსგავსი შემთხვევების მოშველიება, რაც საერთო სურათს უკეთესად აჩვენებს. ამ შემთხვევაში კარგი შედარებითი მაგალითია „ვიშეგრადის“ ჯგუფი (პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი). ამ ჯგუფის ფუნქციონირება ცენტრალურ ევროპაში 1990-იანი წლების დასაწყისში მოკრძალებული ეკონომიკური თანამშრომლობით დაიწყო და მოგვიანებით ევროკავშირის ფარგლებში, უფრო ფართო რეგიონული თანამშრომლობის პლატფორმად გადაიქცა.

მეზობელ ქვეყნებს შორის რეგიონული დიპლომატიის გაძლიერებისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს სატრანსპორტო მიმოსვლას და დაკავშირებადობის გაძლიერებას, არა მხოლოდ რეგიონის ქვეყნებისთვის, ასევე ევროპა-აზიის სავაჭრო ურთიერთობებისთვისაც, რადგან სამხრეთ კავკასია აღმოსავლეთ-დასავლეთის მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი რგოლია. რეგიონი ცენტრალურ ადგილს იკავებს „შუა დერეფნის“ (ჩინეთი-ევროპა ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის გავლით) და ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანსპორტო დერეფნის (რუსეთი-ირანი-ინდოეთი) მიმართულებით. დაბლოკილი სატრანსპორტო კავშირების საერთაშორისო გარანტიებით და სტაბილური შეთანხმებებით ხელახლა გახსნამ შესაძლოა გაზარდოს რეგიონული ურთიერთდამოკიდებულება.

სამხრეთ კავკასიის როლი საერთაშორისო დაკავშირებადობის კუთხით სავარაუდოდ კიდევ უფრო გაიზრდება, რაც ადგილობრივ სუბიექტებს ასევე კარგ შესაძლებლობას აძლევს ადგილზე განავითარონ ინფრასტრუქტურა. თბილისში, ბაქოში და ერევანში ლოგისტიკური ცენტრების შექმნამ შესაძლოა რეგიონი ევრაზიის კრიტიკულ კვანძად წარმოაჩინოს. ამ კუთხით მნიშვნელოვანი

იქნება ერთობლივი ინვესტიციები სატრანსპორტო ქსელებში, რაც ადამიანების, პროდუქციის და სერვისების უფრო მოქნილ გადაადგილებას შეუწყობს ხელს და სარგებლის მომტანი იქნება უფრო ფართო კონტექსტშიც. თანამედროვე მსოფლიოში ტრადიციული სავაჭრო მარშრუტების ცვლილებამ სამხრეთ კავკასიას ახლებური დატვირთვა მისცა და გზაჯვარედინის ფუნქციით დატვირთვის შესაძლებლობებს აძლევს. მსოფლიოს დიდ ძალებს შორის ეკონომიკური კავშირებისთვის გზები სწორედ სამხრეთ კავკასიაზე გადის. ამ თვალსაზრისით, ისეთი პროექტების გამოყენება, როგორიცაა „შუა დერეფანი“ და „ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანსპორტო დერეფანი“, ასევე აღნიშნული დერეფნების პოტენციური დაკავშირება, შეიძლება, რეგიონის სტაბილიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდეს. ამ კუთხით, სწორედ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის მოქნილი ურთიერთობები გადამწყვეტი მნიშვნელობის იქნება.

რეგიონული თანამშრომლობისთვის განსაკუთრებული დატვირთვა შეიძლება მიენიჭოს ერთობლივი ქსელების განვითარებას. რეგიონის ქვეყნების ხელსაყრელი გეოგრაფია ინტეგრირებული საზღვაო-საგზაო-სარკინიგზო ლოგისტიკური ცენტრების განვითარების შესაძლებლობას აჩენს. შედარებითი მაგალითისთვის შეიძლება ბალტიისპირეთის ქვეყნების მაგალითის მოტანა. ბალტიისპირეთის სამი ქვეყანა, რომლებიც ოდესღაც ეკონომიკურად იზოლირებულნი იყვნენ, შესამჩნევ ინტეგრაციას იმედოვნებენ ერთობლივი სატრანსპორტო პროექტების მეშვეობით, როგორიცაა „Rail Baltica“. აღნიშნული პროექტით ევროპის ქვეყნები „სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვების დროის განახევრებას“ (European Commission: 2026) გეგმავენ, რაც მნიშვნელოვანი სტიმული იქნება ადგილობრივი ეკონომიკებისთვის.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასიას მძიმე მემკვიდრეობა ერგო, რაც გამოიხატებოდა ეკონომიკის ფრაგმენტაციაში, პოლიტიკურ არასტაბილურობაში, სამხედრო კონფლიქტებში და სხვა. რეგიონის ქვეყნებს ამ მძიმე მემკვიდრეობისგან თავი სრულად ჯერ კიდევ არ დაუღწევიათ და ეს ისევ აისახება ურთიერთობებზე. პოლიტიკურმა უთანხმოებებმა, ეკონომიკურმა შეფერხებებმა და მუდმივმა დაძაბულობამ რეგიონში ნდობის სერიოზული დეფიციტი გააჩინა. სწორედ ამ ფაქტორის გამო, რეგიონის ქვეყნებმა პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების დამყარებაზე ფსონები რეგიონს მიღმა ქვეყნებზე დადეს. რეგიონში ნდობის აღდგენისთვის სამივე ქვეყანას შორის სასარგებლო იქნებოდა არასამხედრო თანამშრომლობის გაძლიერება, როგორიცაა ერთობლივი ანტიკონტრაბანდისტული ოპერაციები ან გარემოს ერთობლივი მონიტორინგი. მართალია, რეგიონის ორ ქვეყანას, საქართველოს და აზერბაიჯანს შორის არის სამხედრო თანამშრომლობაც, მაგრამ ეს პროცესი სამივე ქვეყანას არ მოიცავს.

ნდობის გაძლიერების კუთხით მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს მეორე დონის დიპლომატიის გააქტიურება. ამ პროცესს აკადემიური სფეროს წარმომადგენლებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ახალგაზრდულმა ჯგუფებმა უნდა უხელმძღვანელონ, რომელიც თანდათანობით შექმნის ნდობას საზოგადოებრივ დონეზე. საბოლოო ჯამში, სამხრეთ კავკასიაში გრძელვადიანი სტაბილურობისკენ სწრაფვის ხაზგასასმელად, მნიშვნელოვანი განაცხადი იქნებოდა ადგილობრივი სამშვიდობო ფორუმის დაფუძნება, რომელიც თავს მოუყრიდა როგორც რეგიონის, ასევე რეგიონის მეზობელ ქვეყნებს, დიდ სახელმწიფოებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს. ეს იქნებოდა რეგიონის გზავნილი, რომ გრძელვადიანი მშვიდობა პრიორიტეტულია. სამხრეთ კავკასიის მშვიდობის ფორუმის შექმნას შეუძლია უზრუნველყოს ინკლუზიური დიალოგის პლატფორმა გარე დომინირების გარეშე. შედარებითი მაგალითისთვის ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ჰელსინკის პროცესმა აჩვენა, თუ როგორ შეუძლია მდგრადი დიალოგის პლატფორმებს თანდათანობით შეამცირონ დაძაბულობა.

საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლის შემდეგ, ევროპის კონტინენტზე წარმოქმნილი ახალი გეოპოლიტიკური რეალობა სუვერენული ქვეყნებისგან თანამედროვე მიდგომების ფორმი-

რებას მოითხოვდა. ახალი სუბიექტების გამოჩენამ დღის წესრიგში დააყენა ურთიერთობების რეგულირების საკითხი, რასაც ხშირად თან ახლავდა კონფლიქტები. რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავებისთვის შესაბამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს „სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თანამშრომლობის პროცესი“, რომელიც ბულგარეთის ინიციატივით 1996 წელს დაიწყო. თანამშრომლობის ეს ფორმატი მიზნად ისახავს კეთილმეზობლური ურთიერთობების გაღრმავებას, დიალოგის და პოლიტიკური, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობას.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის რეგიონული დიპლომატიის გასაძლიერებლად ყურადღება უნდა დაეთმოს კულტურულ-საგანმანათლებლო ერთობლივ პროგრამებს. ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ექნება რეგიონის ქვეყნების უნივერსიტეტებს და დარგობრივ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას. მაგალითად, სამხრეთ კავკასიის საგანმანათლებლო პროგრამას შეუძლია წაახალისოს აკადემიური გაცვლები, გაამყაროს ხალხთა შორის კავშირები. ასეთი პროგრამის შექმნა დარგობრივ მიმართულებებში თანამშრომლობის სრულიად ახალ ეტაპს ნიშნავს. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაღრმავებისთვის განსაკუთრებული ყურადღება შეიძლება დაეთმოს კულტურული ურთიერთობების გააქტიურებას. მაგალითად, ერთობლივ კულტურულ ფესტივალებს და მემკვიდრეობის დაცვის პროექტებს შეუძლია გამოკვეთოს მსგავსი ან საერთო ტრადიციები, რომლებიც სცილდება პოლიტიკურ საზღვრებს.

თანამედროვე დროში განსაკუთრებული ყურაღება ეთმობა ტურიზმის სფეროს განვითარებას. საქართველო მნიშვნელოვან ინვესტიციებს დებს ტურიზმის განვითარებაში, რაც ტურისტული ნაკადების მოზიდვას უწყობს ხელს. ტურიზმის სფეროს სულ უფრო დიდი ყურადღება ეთმობა სომხეთში და აზერბაიჯანში. მსოფლიოს არაერთი ქვეყნისთვის დაინტერესება შეიძლება გამოიწვიოს ინტეგრირებულმა მიდგომამ, რაც რეგიონული ტურისტული პაკეტების შექმნას ითვალისწინებს. ასეთმა სიახლემ შეიძლება წარმოაჩინოს სამხრეთ კავკასია, როგორც ერთიანი დანიშნულების ადგილი, “ჩრდილოეთის ტურისტული კოლექტივის“ მოდელის მსგავსად. ეს ინიციატივა სკანდინავიის და ბალტიისპირეთის ტურისტულ ინდუსტრიებს აკავშირებს და მისი „მიზანია ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა სკანდინავიისა და ბალტიისპირეთის რეგიონებში“ (THE NORDIC). აღნიშნული ინიციატივა საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ ხელს უწყობს ეკოლოგიურად მეგობრულ მოგზაურობას, ადგილობრივი კულტურების ხელშეწყობას და შიდა ტურიზმის განვითარებას.

თანამედროვე მსოფლიოში ომებთან, კონფლიქტებთან და დავებთან ერთად, დიდ ყურადღებას ითხოვს ჯანმრთელობის დაცვის საკითხები. დაავადებებთან და ეპიდემიებთან ერთობლივი ბრძოლა მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველსაყოფად და ქვეყნებს შორის სტაბილური ურთიერთობების განვითარებისთვის. „კოვიდ-19“-ის პანდემიამ კი მსოფლიოს აჩვენა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ერთობლივ ძალისხმევას როგორც ჯანდაცვის, ასევე ეკონომიკური და სოციალური კავშირების მდგრადობისთვის. ასეთი ერთობლივი ხედვის პრაქტიკული განხორციელება შეიძლება სამხრეთ კავკასიის რეგიონში, სადაც ხალხთა შორის ურთიერთობებისთვის სტაბილურ გარემოს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგივე „კოვიდ-19“-ის პრევენციისთვის, ჯერ კიდევ ჩაკეტილია აზერბაიჯანის სახმელეთო საზღვარი, რაც ხაზს უსვამს საკითხის მნიშვნელობას. ამ მიმართულებით სასარგებლო ინიციატივა შეიძლება იყოს დაავადებათა კონტროლის რეგიონული ცენტრის შექმნა, რაც გაუმჯობესებდა დაავადებებთან ბრძოლის ძალისხმევას და პოტენციური პანდემიისთვის მზადყოფნას. ამ კუთხით, სამედიცინო მომზადების ერთობლივმა პროგრამებმა შესაძლოა რეგიონში დარჩენის სტიმული შექმნას და ხელი შეუწყოს პროფესიონალებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას. შედარებით მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ „აფრიკის კავშირის“ ინიციატივა „აფრიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრი“, რომელიც აჩვენებს, თუ რო-

გორ შეიძლება რეგიონული ჯანდაცვის ორგანოების შექმნა პოლიტიკურად ფრაგმენტულ კონ-ტექსტებშიც კი. აფრიკული ინიციატივა კონტინენტის 55 ქვეყანაში მუშაობს, რომლის მიზანია ქვეყ-ნები „ყოველთვის მზად იყვნენ ჯანმრთელობის საფრთხეებსა და ეპიდემიებზე ეფექტური რეაგი-რებისთვის“ (AfricaCDC).

სამხრეთ კავკასია მთიანი რეგიონია, რაც განსაკუთრებულ გარემოს ქმნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რელიეფურ თავისებურებებს თან ერთვის ბუნებრივი კატასტროფები, რაც სულ უფრო მეტად პრობლემურია კლიმატური ცვლილებების მზარდი ტენდენციების დროს. ხშირად ბუნებ-რივი კატასტროფები ისეთ მასშტაბს იღებს, რასთან გამკლავება ერთ ქვეყანას თავისი რესურსებით უჭირს. ეს დღის წესრიგში აყენებს დახმარების საჭიროებას, რადგან ბუნებრივი კატასტროფის შე-დეგები არაერთ ქვეყანაზე ახდენს გავლენას. კატასტროფებზე რეაგირების კოორდინირებული მექანიზმების შექმნა კრიტიკულად მნიშვნელოვანი იქნებოდა ამ მიწისძვრებისადმი და სხვა ბუნებრივი კატასტროფებისადმი მიდრეკილ რეგიონში. ეს მექანიზმი ეფექტური იქნება დროში ეფექტური მოქმედებისთვისაც, რადგან მეზობელ ქვეყანაში არსებული პრობლემის მოსაგვარებ-ლად, დახმარება ყველაზე სწრაფად სწორედ უახლოესი მეზობლიდან შეიძლება მოვიდეს. სამე-ზობლო დახმარების ცალკეული არაერთი მაგალითია ამის დასტური.

თანამედროვე მსოფლიოში გაზრდილი ეკონომიკური საქმიანობა, გლობალიზებული სავაჭრო ურთიერთობები, ინდუსტრიული წარმოება, კლიმატის ცვლილებები და სხვა არაერთი ფაქტორი ადამიანის საცხოვრებელ გარემოს მნიშვნელოვან ზიანს აყენებს. ეკოლოგიური პრობლემების მართვა ცალკეულ სახელმწიფოს დამოუკიდებლად ხშირ შემთხვევაში არ შეუძლია. გარემოს დაც-ვისთვის სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება სუფთა წყალს. გაეროს მონაცემების თანახმად, მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი, წყლის მწვავე დეფიციტს განიცდის და „მოსალოდნელია, რომ ეს რიცხვები კიდევ უფრო გაიზრდება“ (United Nations). გაეროს მონაცემე-ბით, ბოლო ოცი წლის განმავლობაში, ხმელეთზე წყლის მარაგი წელიწადში 1 სმ-ით შემცირდა, რაც ადასტურებს, რომ სუფთა წყლის პრობლემა მზარდია. სამხრეთ კავკასიაში ისეთი საერთო მდი-ნარეები, როგორიცაა მტკვრის და არაქსის აუზები, საჭიროებენ ერთობლივ მართვას წყლის დეფი-ციტისა და დაბინძურების თავიდან ასაცილებლად. ამ კუთხით, თანამშრომლობის ერთობლივი მექანიზმების შექმნა უარყოფითი შედეგების შემსუბუქებას შეუწყობს ხელს.

კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის საკითხებში რეგიონული თანამშრომლობა, მათ შორის ტყის აღდგენა, წყალდიდობის კონტროლი და გაუდაბნოების შემცირება, ხელს შეუწყობდა რესურ-სებზე დაფუძნებული თანამშრომლობის გაღრმავებას და კავშირების გაძლიერებას. რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერებისთვის შესაძლოა კარგი საშუალება იყოს საზღვრისპირა დაცული ტერიტორიების შექმნა, რაც ხელს შეუწყობდა როგორც ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, ასევე ეკოტურიზმს. შედარებისთვის შეიძლება მოვიყვანოთ მეკონგის მდინარის კომისია. ეს კომისია ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე ქვეყნებს შორის თანამშრომლობას უზრუნველყოფს და იძლევა მაგალითს, თუ როგორ შეიძლება ფუნქციონირებდეს რესურსების გაზიარების შეთანხმე-ბები განსხვავებული პოლიტიკური სისტემების მქონე სახელმწიფოებს შორისაც კი. ქვეყნებს შორის „თანამშრომლობის სფეროები მოიცავს მდგრად განვითარებას, წყლისა და მასთან დაკავშირებუ-ლი რესურსების გამოყენებას, მართვასა და შენარჩუნებას“ (Asia Regional Integration Center).

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური განვითარების მთავარი ღერძი ტექნოლოგიური სი-ახლეებია. სწორედ ტექნოლოგიური განვითარების ტემპები განსაზღვრავს გლობალური კონკუ-რენციის მასშტაბებს. ტექნოლოგიური განვითარება თავის მხრივ ინოვაციურ მიდგომებს ეფუძნება. ამ კუთხით, სამხრეთ კავკასიას აქვს შესაძლებლობა იქცეს ტექნოლოგიური განვითარების ცენტ-რად, რაც გულისხმობს როგორც ადგილობრივი ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვას, ასევე მის გამოყენებას საერთაშორისო მასშტაბით. სამხრეთ კავკასიაში „ციფრული აბრეშუმის გზის დერეფ-

ნის“ განვითარება ევროპასა და აზიას უფრო ეფექტურად დააკავშირებდა. „ციფრული აბრეშუმის გზა“ შეიძლება მოიცავდეს ინტერნეტისთვის საჭირო კაბელებს, რეგიონული მონაცემების და ამ მონაცემების დამუშავებისთვის საჭირო ცენტრებს, ციფრულ გადახდებს, ელექტრონულ კომერციას, ციფრულ საბაჟო და სატრანზიტო სისტემებს. ამ მიზნის განხორციელებისთვის, რეგიონული სტარტაპ ინკუბატორები საერთაშორისო ინვესტორებსა და ნიჭიერ ადამიანებს მოიზიდავდნენ, კიბერუსაფრთხოების რეგულაციების ჰარმონიზაცია კი გარე საფრთხეების მიმართ მდგრადობას გააძლიერებდა. სისტემების ჰარმონიზაციით და სიახლეების დანერგვით, სამხრეთ კავკასიის რეგიონი შეიძლება გახდეს ნეიტრალური ციფრული პლატფორმა ევროპასა და აზიას შორის.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარება მცირე ნაბიჯებით და თანდათანობით უნდა დაიწყოს, სადაც პრიორიტეტი მიენიჭება მეორე დონის პოლიტიკის სექტორებს ნდობის შესაქმნელად და ურთიერთკავშირების გასაძლიერებლად. პროცესს ხელს შეუწყობს მუდმივი დიალოგის პლატფორმა. რეგიონული თანამშრომლობის წინსვლა მოიცავს საერთაშორისო მხარდაჭერის მიღებასაც, თუმცა გრძელვადიანი სტაბილურობისთვის ერთ კონკრეტულ ძალაზე საჭიროზე მეტი დამოკიდებულება სასურველი სცენარი არ არის.

დასკვნა. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების განვითარების ტრაექტორია, რეგიონში თავმოყრილი გეოპოლიტიკური ინტერესები და მსოფლიოს აღმოსავლეთ და დასავლეთ პოლუსებს შორის მზარდი სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობა ადასტურებს, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს თანამშრომლობის განვითარება სხვადასხვა სექტორში. რეგიონული ურთიერთობების გაძლიერების აუცილებლობა გამოწვეულია გეოგრაფიული ფაქტორით, რომ მეზობელი ქვეყნები ერთმანეთთან თანამშრომლობისთვის არიან „განწირული“, რაც ყველა ქვეყნისგან შესაბამის მიდგომას საჭიროებს. მეორე ფაქტორი გეოპოლიტიკურია, რადგან მსოფლიოს მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე მდებარე რეგიონი არამხოლოდ საკუთარ, არამედ მსოფლიოს ინტერესებსაც უნდა ემსახურებოდეს. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს აქვთ გარკვეული ტიპის თანამშრომლობა, მაგრამ ცალკეული მაგალითები აჩვენებს, რომ თანამშრომლობის გასაძლიერებლად კვლავ დიდი სივრცე არსებობს.

უფრო ურთიერთდაკავშირებული სამხრეთ კავკასია არა მხოლოდ მის ხალხებს მოუტანს სარგებელს, არამედ გააძლიერებს რეგიონის, როგორც ევროპასა და აზიას შორის სტაბილური და საიმედო დერეფნის სტრატეგიულ ღირებულებას. ამრიგად, პრაგმატული ინტეგრაცია წარმოადგენს არა მხოლოდ კეთილდღეობისკენ მიმავალ გზას, არამედ ევრაზიის ამ კრიტიკულ გზაჯვარედინზე გრძელვადიანი მშვიდობისა და სტაბილურობისკენ გადადგმულ ნაბიჯსაც.

გამოყენებული ლიტერატურა

Kurian, Anju L. Vinodan, C. Regionalism and Regional Cooperation in International Relations: A Conceptual Analysis, 2020. 7 February 2026
<https://www.academia.edu/72111829/Regionalism_and_Regional_Cooperation_in_International_Relations_A_Conceptual_Analysis>

Haas, Ernst B. The uniting of Europe: Political, social, and economic forces, 1950–1957. 1958. 8 February 2026.
<https://www.europarl.europa.eu/100books/file/EN-H-BW-0038-The-uniting-of-Europe.pdf>

European Commission, Rail Baltica: connecting the Baltic States to rest of Europe by high-speed train. 2026. 11 February 2026.
<https://cinea.ec.europa.eu/featured-projects/rail-baltica-connecting-baltic-states-rest-europe-high-speed-train_en>

THE NORDIC TOURISM COLLECTIVE, 15 February 2026.
<https://www.nordictourismcollective.com/>

AfricaCDC, What is the Africa CDC? 16 February 2026.
<https://africacdc.org/download/what-is-the-africa-cdc/#:~:text=Opened%20in%20January%202017%2C%20the%20Africa%20Centres,respond%20effectively%20to%20health%20threats%20and%20outbreaks>
United Nations, Water – at the center of the climate crisis. 18 February 2026.
<https://www.un.org/en/climatechange/science/climate-issues/water>
Asia Regional Integration Center, Mekong River Commission. 19 February 2026.
<https://aric.adb.org/initiative/mekong-river-commission>